


სახალხო ბაზუკი

საბჭოთაო ჟურნალი

გაზეთის № 523

ლამასუბის № 92

კვირა, 12 თებერვალი 1912 წ.




ვიქტორ შუგლერის ძეგლი, —ქანდაკება როდენისა.

გ ა ი მ ც ა

(ესკიზი).

„ე—ე, ჩემო ხატრი ჯანიავ! შენ რომ ჩემი საქმე იცოდე, გაჰკვირდებოდი“, უამბობდა თავის თავგადასავალს ახლად მოყვანილ ტუსაღს „ბრუტიანი მიხაკა, რომელიც უკვე რამდენიმე თვე იყო საპრობილეში, „ხარის მოპარვა დამაბრალეს და ზიარების მადლმა მე ის ხარი თვალითაც არ მინახავს, კიდევ კარგა რამ ადვოკატმა მიშველა... ოცდა ხუთიანი კი ჩაუჩხრიალე, რვა თვე გადამიწყვიტეს, თორემ წელიწადს ან წელიწად ნახევარს არ გადავრჩებოდი... ჰე—ე, როგორ ილაპარაკა ჩემმა ადვოკატმა!.. ჯერ პროკულოლი წამოდგა! „ამა და ამ ტატიის ძალითაო ეს კაცი ქურდიაო და წელიწად ნახევარი ეკუთვნისო“... ლაპარაკობდა და თან თითს სულ ჩემკენ იქნევდა. ვთქვი, ახლა კი გამიწყრა ღმერთი დავიღუპე მეთქი... მერე წამოდგა ჩემი ადვოკატი, მიაყარა და მიაყარა ტატი-ტატიანზე... ჰე-ე!.. პროკლოლი სიბრაზისგან სულ გაწითლდა, ე სუდიებიც გაშტერდნენ: კაცო ამოდენი ტატიები

სად მოუკრეფიაო?“ ეძებენ, შინჯამენ ი წიგნში, თურმე ზაკონ-კანონშიაც კი არა სწერია. ისეთი ტატიები დააყარა ჩემმა ადვოკატმა. რაღას გახდებოდნენ?... მერე იმ დიდმა სულიამ, სულ დიდი სულია რომელიც არის, უთხრა ადვოკატს ჩემზედ: მაგასაო კანონით წელიწადი და უფრო მეტიც ეკუთვნისო, მაგრამ თქვენი ხატრით და რახან მაგოდენი ტატიები გკოდნიაო მარტო რვა თვეს გადაუწყვიტამთო... უფლის მადლმა თავად ადვოკატმა ასე მითხრა“...
ადვილად მისავედრია რა ჯურის „ადვოკატი“ იქნებოდა ეს ოცდა ხუთ მანეთიანი დამცველი, რომელმაც მიხაკას ასე განუმარტა და აუხსნა მისი საქმე...
მართლა დამნაშავე იყო მიხაკა თუ არა—რა მოგახსენოთ, ხოლოდ ესკია რომ კანონიერ გამოძიებლის და მოსამართლეების გარდა საპრობილეში საკუთარი შინაური გამოძიებლები და მოსამართლენი არიან, რომლებმაც ზედმიწევნით და დაწვრილებით იციან ყველა თავის ამხანაგის საქმე, მიუხედავად იმისა გამოტეხილია იგი ოფიციალურად თუ არა. და ამ მოსამართლეებისთვის რომ გეკითხნათ მიხაკას შესახებ, გადაჭრით გიპასუხებდნენ, ბრუტიანი უდანაშაულოაო.
მიხაკას არამც თუ ყველა ტუსადი და საპრობილის მოხელე, არამედ გარედან ტუსაღების სანახავად მოსიარულე



ალ. წუწუნავა.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სექციის რეჟისორი. მისი ბენეფისის გამო.

ხალხიც კი კარგად იცნობდა. მისი გარეგნობა ძალა-უნებურად თვალს იპყრობდა. წარმოიდგინეთ დაბალი ტანის კაცი ვეებერთელა თავით და პაწაწინა უცნაურად დაღმეჭილი პირისახით. თითქოს ვილასაც მისი ცხვირი და ნიკაპი ჯერ წინ გაეწიოს და მერე მარჯვნივ გადაეხნიქოს. ერთი თვალი ცხვირისა და ნიკაპს გაჰყოლია, მეორე კი თავის ალაგას დაჩენილა. წარბები და უღვაშები თითქოს გაუტუსისათო. შუბლი ძალზე უკან გადახრილა, თავი ორივე მხრიდან შეხნეჭილა და კეფას ძრიელ მალლა აუწვევია. შედარებით გრძელი ტანი მოკლე ხელებით და ფეხებით,—ასეთი გახლდათ „ბრუტიანი“ მიხაკა.

მიხაკა ჩუმი და საცოდავი ხასიათისა იყო და ამით ტუსალებიც და ზედამხედველებიც სარგებლობდნენ. ოთახის დაგვა, დაწმენდა, საჭმლის მიტან-მოტანა, ჭურჭლის დასუფთავება, „პარაშნიკობა“ (ღამის ჭურჭლის მოკლა) და სხვა ამ გვარი მუშაობა მიხაკას კისერზე იყო. ახლა გარეთაც რაც უფრო მძიმე და არა სასიამოვნო მუშაობა იყო, მაგალითად ზარულების რეცხვა, დასუფთავება, აყროლებულ ჭუჭყიან სარეცხის რეცხვა—ყველა ამასაც მიხაკას აკეთებინებდნენ. ყველასაგან დაბრიყვებული, სასაცილოდ აგდებული მიხაკა მაინც გულს არ იტეხდა, მუდამ მხიარული, მხნე და გამსჯელი. სახეზე მას არასოდეს ღიმილი არ შორდებოდა, თუ კი ღიმილად ჩაითვლება ჩაყვითლებულ და ჩაშავებულ კბილების ღრეჭა. თუ ტუსალობაში „ბრუტიანის“ გარდა სხვა სახელი არა ჰქონდა მიხაკას, ციხის მოხელეთა მიერ იგი „მაიმუნად“ იყო მონათლული.

ვისაც სცალოდა თუ არა სცალოდა, ვალად სთვლიდა მიხაკასთვინ ან კისერში წაეკრა ან თავში ჩაეფაჩუნებინა და მიხაკა კი მარტო თავისებურ ღიმილით ღპასუხებდა. მეტისმეტად მშიშარა იყო, ვერავის სიტყვასაც კი ვერ შეუბრუნებდა.

სისუფთავე სიფაქიხისთან მიხაკა ცოტა არ იყოს მწყრალოდ გახლდათ, ხშირად პირის დაბანაც კი ავიწყდებოდა. მოგანგლული, გამურული, თმა აბურძგნული—აი მუდმივი მისი მდგომარეობა. მაგრამ გათენდებოდა კვირა დღე და თქვენ მიხაკას ვერ იცნობდით. დაბანილი, სუფთა ტანისამოსში კობტად, რამდენადაც ეს მიხაკას მოეთხოვებოდა, გამოწყობილი, დაწკრილებული ფეხსაცმელით, თავდავარცხნილი, უღვაშებ დაბზეკილი იგი ისეთი სახით გამოიყურებოდა, რომ დარწმუნდებოდით რაღაც არა ჩვეულებრივს მოელოდა აქ დღეს.

მართლაც და კვირა დღე მისთვის დიდი დღესასწაულია. იგი ამ დღეს მოელის თავის სატრფოს, თავის სულის კოკობს, თავის ძვირფას მეუღლეს „ანუშკის“, ასე უძახდა ამ მეუღლეს მიხაკა. გენახათ ანუშკი, დარწმუნდებოდით, რომ იგი თავის საყვარელ მიხაკას „სილამაზით“ არ ჩამოუყარდებოდა და „სისუფთავე სიფაქიზით“, კიდევ გადააქარბებდა. მეტის-მეტად დაბალი და გამხდარი ანუშკი უფრო თერთმეტ თორმეტის წლის გოგოს ჰგავდა ვიდრე ქრმიან დედაკაცს. თუ მიხაკას ცხვირს და ნიკაპს წინ გაეწიათ, ანუშკის ცხვირს და ნი-


კაპს მეტად უკან დაეხიათ, თითქოს ვილამაც პირისახე მიუჩყლებოდა. ამაზე მიხაკა ხშირად ოხუნჯობდა კიდევ: „ანუშკი, შენც რომ ჩემსავით გრძელი ცხვირი გქონდეს კოცნა გაგვიჭირდებოდა და ახლა კი ბარდი ბარდიო.“

რა გინდ მორთულიყო ანუშკი მაინც და მაინც ქვედა იუპკის ბოლო კაბა უნდა დაშორებოდა და ზედა და ქვედა ტანი ხომ ყოველთვის ერთმანეთს უწყებოდნენ და ახლოს არ ეკარებოდნენ და მათ შუა პერანგი დარაჯად ამოჩეჩილიყო. ოდესმე, ახალგაზღობაში, ეს პერანგი თეთრი იქნებოდა; ახლა კი ყავის ფრად შეღებილიყო ალბად ხშირი რეცხვით თუ. ამ გვარივე ბედი ჰრგებოდა თავის მოსახვევსაც. ანუშკი შორიდან რომ დაგენახათ გვეგონებოდათ უღვაშები აქვსო, მაგრამ მიუახლოვდებოდით და... ანუშკას ცხვირზე უკაცრავად, ხომ მოგესხნებათ ზოგან ხმელი, ზოგან ჭაობიანი ალაგებია, სადაც სინესტე არასოდეს არა შრება. წირპლიანი თითქმის უწამწამო თვალები... მაგრამ კმარა. რა ჩვენი საქმეა? ანუშკას ეს გარემოება სრულებით არ აწუხებდა და მიხაკა კი დარწმუნებული იყო, რომ მის მშვენიერ ანუშკის ბადალი მთელ ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა.

შეხედეთ, როგორ უცინის და შეჭხარის თავის სატრფოს მიხაკა და ესეც როგორის სიკეკლუკით უკრიჭამს კბილებს. ეს, ეს ტიალი ორმაგი მოაჯირი რომ არ აშორებდეს ერთი-ერთმანეთს, მაგრამ გულში ჩაიკრავდა მიხაკა თავის სულიკოს და კოცნით ვერ გაძღებოდა. ახლა როგორის ამაყი თვალით მიიხედ-მოიხედება მიხაკა, როგორ მოხდენილად იგრეხამს თავის ვითომ და უღვაშებს... არ გავგონდებათ სამე სოფლის ბოლოში გახრეკილი ეზო და შიგ მძოვარე ფერდებ ჩაქცეული, ზურგ გადაყვლეფილი, ნახევრად გაქეციანებული, ძუა ფაფარ დაგლეჯილი, ეკლებით სავსე ულაყი? შიმშილით დასუსტებული, აუტანელ წვალებით და მუშაობით დაოსებული იგი ძლივსლა სდგას, ფეხი ვერ გადაუდგამს, თავის დახრის და ძოვნის არაქათიც კი აღარა აქვს... მაგრამ, აი დაინახა თავის სატრფო ქაკი, შეხედეთ როგორ სწრაფად იცვლება ულაყი, როგორ თამამად ჭიხვინებს, როგორ გარს ურბენს ქაკს. კისერი ისე მოუგრეჩია, ისეთი მოხდენილად დახტის, გვეგონებათ ნამდვილი ბედაურიაო. იმ წუთს ავიწყდება მას სახრე, შოლტები, ავიწყდება შიმშილი, სუსხიანი ზამთარი, როდესაც ბზე-თივა მოკლებული გამხმარ ფუჩქისა და ხშირად ფიჩხსაც კი ჰკორტნის. ავიწყდება როდესაც ზაფხულში მზე პაპანაქებაში გულ-ღვიძლ ჩაქცეული, ოფლში გაწურული, დაოსებული ძლივსლა მიათრევს კალოში კვერს. და თან მის ზურგზე შოლტს ტყლაშა-ტყლუში გააქვს. იმ წუთს იგი თავის თავს ბედაურათა სთვლის. არვის მოერიდება, არვის შეუშინდება, მზათაა სამკვდრო-სასიცოცხლო ზრქოლისთვის, არავის დაუთმობს თავის სატრფო ქაკს. ამ წუთს იგი ძლიერია ვით ის შემომქმედი ბუნება, რომელიც მასში ღვივის.


ძლიერია სიყვარული: იგი მონას ლაჩარს გმირად აქცევს, სიმახინჯეს მშვენიერებად ხდის.

აგერ ორი კვირა შესრულდა რაც ანუშკი მიხაკასთან არ მოსულა სანახავად. საბრალო მიხაკამ აღარ იცის დარღისგან რა ქნას. არც არა ამბავი მოსდის შინიდან, ხან ფიქრში გაურბენს, ვაი თუ ანუშკი ავად გამიხდაო, ან არა და იქნებ დედა ჩემს რამე დაემართაო, ჩვეულებრივი ღიმილი მის სახეზე გა-



ამერიკელი მწერალი დიკენსი,

რომლის დაბადების ასის წლის თავს დღესასწაულობს ამერიკა.



ექვსი წლის ბავშვი ვალოდია ზუბრიცკი.
(იხილეთ ღვევანდელი ნომერი).

ბრუტიანს მიეცი, ეს წერილი ამა და ამ კაცმა მომცათქო, ვინ-
მე თქვენებური დაუსახელე, დედაშენს გამოუგზავნიათქო...
მხოლოდ, ეი, თქვენ ბიჭებო, ხმა, კრინტი არავინ დასძრათ-
თორემ დედას გიტირებთ, სულ კბილებს ამოგამტვრევთ!..
ახლა ნახე რა შტუკები დავწერო წერილში პაჭუა ანუ შკაზე...
— „ჰეი, რა ოინი იქნება!.. შეპყვირა რამდენიმე ტუ-
საღმა...“

— „ბიჭებო, ცოდოა!.. შეიბრალო ვიღამაც მიხაკა.
„შე ოხერო, დაუბრალო შემბრალებელს ნიკოლამ თვა-
ლები, „გზუმობთ განა რაა?.. საღამოს ვეტყვით მოგატყუე-
თო. ერთი ვნახოთ რას იზამს ჩვენი ბრუტიანი?..“

შეთქმულობის გეგმა დაწვრილებით შეადგინეს. ნიკო-
ლამ გამოჰკითხა ოქრუს მიხაკას შინაურობის ამბავი, დაამზა-
და წერილი, მაგრამ მისი შინაარსი არავის გაუშვლავნა.

მიხაკას თითქმის მთელი ღამე დარდისგან თვალი არ
მოუთვლევია. ფიქრები, მწარე ფიქრები. „არა, სწორედ ჩემს
თავს რაღაცა არის. რაღაც უბედურობაა. საბრალოს ხან რა
მოვლანდებოდა და ხან რა. გათენებამ მოატანა და მარტო მა-
შინ დაღალულ-დაქანცულ მიხაკას ძილი მოერია.“

„ბრუტიანო! აღვიძებდა დილით მიხაკას უკვე ბაზრიდან
დაბრუნებული ოქრუს, „რა ღმერთი გაგიწყრა აქნობამდის
წამოტყლარქულხარ და გძინამ?.. რით ვერ გამოიძინე ამო-
დენა ღამეში? ადგი შე ოხერო, აი წერილი მოგიტანე“. მიხაკა
სწრაფად წამოხტა და შაქრუამაც ცხვირში წერილი მიაჩეჩა.
„აჰა, აი ჩვენებიანთ ანდრუამ მომცა, დედაშენს გამოუგზავნი-
აო, ნურას იღარდებ, ყველანი კარგად არიანო“. მიხაკას სი-
ხარულისგან გული აუკანკალდა, თვალზე ცრემლი მოადგა,
როგორღაც დაიბნა, ხელები უცახცახებდა. „გიშველა ღმერ-
თმა!“ ამის თქმა ღამე მოახერხა. დაატყერდა წერილს, ატრია-
ლებდა, მაგრამ რას გაგებდა, კითხვა არ იცოდა. იმ ოთახში
მარტო ნიკოლამ იცოდა წერა-კითხვა. მიხაკამაც, ღრეკით და
მოწიწებით ნიკოლას მიმართა.


„შენი ჰირიმე, ნიკოლიჯან, ღვთის გულისთვის ე წერი-
ლი წამიკითხე,“ შეეხვეწა მიხაკა. დანარჩენი ტუსაღები გარს
შემოეხვივნენ, ბევრი ძლივს თავს იკავებდა არ გასცილებოდა.

— „მერე მაღარიჩი რა იქნება?“ ჰკითხა ნიკოლამ.
„ოღონდ წამიკითხე და ღვევანდელ ჩემ კერძს დაგი-
თმობ“. დაჰპირდა მიხაკა.

„მადლია, კაცო, წაუკითხე. ვინ იცის რასა სწერს თავი-
სი სულიკო“, მიჰმართეს ნიკოლას ტუსაღებმა.

— „აბა მოიტა“, დასთანხმდა ნიკოლა, წერილი გამაარ-
თვა, და დაიწყო კითხვა. მიხაკა სულ განაბული თვალებში
შესტყეროდა ნიკოლას.

„მუდამ სანატრელო და ძვირად სანახავო“, კითხულობ-
და ნიკოლა: „ჩემო სულო და გულო ძვირფასო შეილო მიხა-
კავ! ამა წერილს გწერს შენი უბედური მოხუცი დედა ნენია
ჩხირიშვილი. პირველად მოკითხვას მოგახსენებ და ღმერთსა
ვთხოვ თქვენს ღვეგრძელობასა და ბედნიერებასა და მშვი-
დობით ყოფნასა. შეგეწიოთ ოქროს კარებიან სამების მად-
ლი. თუ ჩვენ ამბავს იკითხამ, მადლობა ღმერთს ერთობ კარ-“



ვენერა ტრიპოლიტანისა,
რომელიც იტალიელებს ეხლა უზოგენით სკიარას ოაზისში, სულთანის მყოფ
ნასასახლარის ნანგრევში. მარმარილოსია...

ჰქრა. მუშაობისთვისაც გული აღარ უდევს, დარდობს და
ნაღვლობს მიხაკა. ხშირად ხელიდან ცოცხს გაუშვებს და
გაშტერებული დაატყერდება რასმე. თავში მარტო ერთი აზ-
რიღა უტრიალებს: ნეტა ჩემს თავს რა ამბავია? ნეტა შინ რა
მოხდა?.. ანუშკი, ანუშკი!.. ღრმად ამოიოხრებს და ისევ წა-
სწვდება ცოცხს, მაგრამ მალე ისევ მწარე ფიქრი შეაჩერებს...

საღამო ხანია. ტუსაღები დასაძინებლად ემზადებიან. მი-
ხაკა თავის ლოგინში ზის და მწარე ფიქრებშია წასული.

„ბიჭო, ბრუტიანო, რას დაღონებულხარ? შეეკითხა მი-
ხაკას ტუსაღი ნიკოლა: „შენი მზეთუნახავი ნესტანდარეჯანი
თუ არ მოგივიდა“?

— „მაგის მშვენიერება ახლა აღბად ვისმე ეყურყურე-
ბა“ დასცინა მეორე ტუსაღმა.

— „ე—ე, ორივე თვალით ბრმა თუ იქნება ვინმე“... გას-
ძახა მესამემ.

„ზოგი ბრუტიანსა ჰკითხე“, მიუგო ნიკოლამ...
ამ დროს გაიღო კარები და ზედახედველმა დაუძახა მი-
ხაკას: „მაიმუნო, წამოდი ბუხრებში შეშა გაასწორე. მიხაკა
წამოდგა და ზღაზნით გავიდა ოთახიდან.“

„ბიჭებო, დაუყვირა ნიკოლამ ახანაგებს მიხაკა რომ
გავიდა, „მოდი ერთი ბრუტიანს შტუკა რამ უყოთ... რა სეი-
რი იქნება“!.

„რაო, რა შტუკა? მოეხვივნენ გარშემო ნიკოლას
სხვა ტუსაღები.

„ხვალ ბაზარში პურისთვის ვინ მიდის? იკითხა ნიკოლამ.
— „მე წავალ“. უპასუხა ოქრუსმა, რომელიც სოფლი-
დან იყო.

„ბიჭოს, ეგ კარგია... მაშ საქმე გაჩარხულია“. გაუხარდა
ნიკოლას, „იცი, ოქრო, მაშ მე წერილს დავწერ ვითომ და
ბრუტიანის დედისაგან. შენ ბაზრიდან რომ დაბრუნდები,

გად გახლავართ და ნურაფრის დარდი ნუ გექნება. ახლა, შეი-
ლო მიხაკო, უნდა მოგახსენო დიდი უბედურობაა ჩვენს
თავს... მიხაკა შეკრთა და, ტანში ჟრუანტელმა დაუარა, გა-
ფითრდა, გულმა მაგრად დაუწყო ცემა. ნიკოლა ც განგებ გა-
ჩერდა, თითქოს ნაწერს ვერ არჩევდა. „ეს ოხერი რა ცუდი
ხელია!“ წამოიძახა მან, „ჰო აი დაიცა...“ და განაგრძო: „ლა-
მის არის“, თითქმის ჩათვლით კითხულობდა იგი, „ლამის არის
ამ სიბერის დროს ხალხში თავი მოგვეკრან. სირცხვილით გა-
რედ ფეხი ვერ გამიდგამ. ნეტავი შინ მაინც ბრძანდებოდე,
ეს უბედურობა არ დაგვემართებოდა. არ ვიცი ამ გოგოს, შენ
დედაკაცს, რა დამართა. თუ წამალი რამე დააღვიინეს, ან
ვინმე უღმერთომ ჯაღო გაგვიკეთა. საქვეყნოდ გაგვაუბატიუ-
რა. ის ჩემი ცოდვით სავსე კონკილაანთ გიგოლა ჩამოეკიდა,
ხომ მუდამ ჩვენი მტერი იყო. ისე ურცხვად იქცევიან, რომ
მთელი სოფელი ააყბედეს, ბევრს უჯავრდები, ვტუქსამ შენ
დედაკაცს, მაგრამ ყურსაც არ იბერტყამს. რაქნა მე ბებერმა
გადაყრუებულმა ადამიანმა. შენი სულის ქირიმე, მოსწერე ამ
გოგოს წერილი, დააშინე, დამუქრე. აგები გაგიგონოს და
იმ პირშავ გიგოლას თავი დაანებოს. შენთანაც აღარ მოდის
სანახავად, მთელი დღე და ღამე იმ ოჯახ ამოწყვეტილთანა
გღია. შენი საბრალო დედა ნენია ჩხირიშვილი“...

ა წერილმა მიხაკას თავზარი დასცა, ჯერ სრულებით გა-
შეშდა, რამდენსამე წუთს გაფითრებული უძრავად იჯდა, მე-
რე უცბად წამოტა, მისწვდა მიხაკას ხელში და წერილი გა-
მოჰგლიჯა.

„სტყუა, აქ ეს არა სწერია!“ შეჰყვირა მან ნიკოლას:
„სტყუი, სტყუი!“

— „შენმა თავის ვახეთქამ ტყუილში ფულს მძღვე, შე
ოჯახქორო, მე სად ჯანაბილამ ვიცნობ ე ვილაც თქვენებურ
გიგოლას ან თქვენი სოფლის ოხრობას?“

ეს სიტყვები ისარივით მოხვდა მიხაკას. „მართლა და ნი-
კოლამ საიდან უნდა იცოდეს... მაშ მართალია?... ანუშკი, ნუ
თუ?“ საბრალო მიხაკა ატრიალებდა ხელში წერილს, ორჯელ
სამჯერ ხელიც კი გადაუსვა, თითქოს საზარელ სიტყვების
წაშლა უნდოდა.

„აი ბიჭო“, მისწვდა ხელში ნიკოლა, „აი აქა სწერია:
„შენი დედაკაცი“... მაგრამ მიხაკამ არ დააცადა, წერილი ხე-
ლიდან გამოჰგლიჯა და ბარბაცით თავის საწოლისკენ წავიდა.

„რა უყოთ, ძმაო, ანუგეშებდა ვილაცა მიხაკას, „ტუსა-
ლის ბედი ეგაა... მეორე წელიწადი აქა ვგდივარ და ვინ იცის
ჩემი დედაკაცი ვის უწვევს გვერდით“?..

„ჰე-ე! დაიწყო მეორემ, „ჩვენი ბრუტიანი შინ რომ
დაბრუნდება, მზად-მზარეული პაჭუა ბაღანა დახვდება. ნათ-
ლობაში გეწვევით ბრუტიანო“—ე-ე, ბიჭუნია, დაუმატა ახ-
ლა მესამემ, „დედაკაციც ადამიანია .. მაშ არადა ამდენ ხანს
შენ დაგიცდი!“

ბევრს დასცინოდნენ ამხანაგები მიხაკას, მაგრამ მიხაკას
თითქოს არაფერი ესმოდა, გაქვავებული იყო. გონს ვერ მო-
უღიყო და გა შტვრებული სულ წერილს დასცქეროდა.

გაისმა ზარის წკარუნი, გააღეს კარი... „მუშებო, წამო-
დით სამუშაოთ“... შემოსძახა ზედამხედველმა, ხუთიოდე ტუ-
სალი წამოხტა და გასწია კარებისკენ. „შენ ეი, მაიმუნო, შენ
რაღა ცალკე დაპატიეება გინდა? დაუყვირა ზედამხედველმა
მიხაკას. მიხაკა შეინძრა, შუბლზე ხელი გადაისვა, მიუბრუნდა
ზედამხედველს, დააცქერდა, მერე მძიმედ წამოდგა და ბარბა-
ციით გაჰყვა სხვა ტუსალებს სამუშაოდ.

* * *

უკვე საღამო ხანია. სამუშაოდ გასული ტუსალები ჯე-
რაც არ დაბრუნებულან და მათი არა ჩვეულებრივი დაგვიან-
ება აწუხებს ციხის უფროსს.

„რა ღმერთი გაუწყრაოთ“, სჯავრობს იგი, „გაიგონე“, და-
უძახა ერთ ზედამხედველს, „გასწი, გადასძახე იმ ტუტუსს,
წამოასხას ტუსალები, ვერა ხედამს საცაა დაღამდება“.

წავიდა ზედამხედველი და დიდიხანი არ გასულა, რომ
გაიღო ეზოს კარები და ტუსალები ზედამხედველებითურთ
შემოვიდნენ, მაგრამ მათში მიხაკა არა სჩანდა.

„რა დაგემართა აქნობამდინ?“ შეეკითხა ციხის უფროსი
ზედამხედველს.

— „უბედურობა დაგვემართა თქვენო აღმატებულებავ...
ტუსალი გაგვექცა!“ ხმის კანკალით მოახსენა ზედამხედველმა.

— „როგორ თუ გაგვექცა? მივარდა უფროსი, ვინ? რო-
გორ?“ ანჯღრევდა იგი ზედამხედველს.

— „მაიმუნი გაიქცა, ბატონო!“

— „ოხ შე... შეაგინა უფროსმა... ის ქეციანი როგორ
გაგვექცა?... შე ლაჩარო, დაბდურავ, დიაცო!“..

— „საჭირო საქმისთვის დამეთხოვა იქვე ხევში... რას
მოგიფიქრებდი? პირველი ხომ არ იყო... რა წამს ხევს მიუა-
ხლოვდა სწრაფად ძირს დაეშვა. დაუყვირე შორს არ წახვი-
დე მეთქი. დაგინახამს ვინმე, იტყვიან ტუსალები უზედამხე-
დველოდ დაღანო... იმან უფრო შორს გასწია და ფეხი აუ-
ჩქარა. დაუყვირე უკან დაბრუნდი მეთქი, არც კი მომხედა
და უფრო აუჩქარა. ამოვიძრე რევოლვერი, გამოუღდექი...“ და-
დექ, თორემ გესვრი მეთქი“... მაგრამ ყურიც არ გაიბერტყა
და უფრო ჩქარა გაიქცა. მარჯვედ ვესროლე, ცოტა შორს
იყო, ავაცდინე. რაკი ბუჩქებს მოეთარა და ტყეში შევიდა,
მეც დავბრუნდი, ვაი თუ სხვა ტუსალებიც გამექცნენ მეთქი“...

ძრიელ ცხარობდა უფროსი, ხან ზედამხედველებს მივარ-
დებოდა ხან ტუსალებს, იგინებოდა და ჰყვიროდა მაგრამ რა-
ღას ვახდებოდა.

მიხაკა მიბზობდა. სუნთქვა ეხუთებოდა, მუხლები ეკეცე-
ბოდა, მაგრამ მაინც მიბზობდა, ერთ წუთსაც არ შეჩერებუ-
ლა. მღვეარზედ არც კი ჰფიქრობდა იგი, მას მარტო სწად-
და რაც შეიძლება მალე სახლში მისულიყო. არც ისე შორს
იყო მიხაკას სოფელი, ასე რომ ის იყო დაბინდა და მიხაკა
თავს კი წაადგა ანუშკას და თავის მოხუც დედას. საწყლებს
გულეები დაუსკდათ, ეგონათ მოჩვენებააო.

რასაკვირველია ყოველისფერი გამოძულავდა. მიხაკამ გაი-
გო რომ მის დედას ფიქრადაც არ მოსვლია წერილის დაწე-
რა და არც შეიძლება ჰქონდა ამისთვის, რადგანაც თითქმის
ორი კვირა ლოგინათ ჩავარდნილიყო და ანუშკიც სწორედ
ამ მიზეზით მიხაკას სანახავად ვერ წასულიყო. მიხაკას სიხა-
რულს საზღვარი აღარა ჰქონდა, რაკი გაიგო და დარწმუნდა
თავის ანუშკის ერთგულობაში და პატიოსნებაში. მიხვდა რა-
საკვირველია რომ ეს სულ ამხანაგების ოინი იყო. ეხვევოდა,
ჰკოცნიდა თავის სულიკოს, ხან იცინოდა ხან სტიროდა, ხან
ბოდიშს სთხოვდა რომ მასზედ ასეთი საზარელი ექვი აიღო
და ამ გვარ უცნაურს დაუჯერა.

„ქა, უწინამაც თვალები დამიდგება“, ეალერსებოდა თა-
ვის მხრივ ანუშკი. ეგ რამ მოგაფიქრებინა?... მე შენ ვიხედმე
გაგცვლი?... უიმე, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავი.

სიყვარულით აღტაცებულ და გახარებულ მიხაკას ფიქ-
რადაც არ მოსდიოდა თუ რა ჩაიღინა და რა მოელოდა.
შუალამე გადავიდა და მიხაკა წამოდგა. „ე-ე, მემძიმება
კია და უნდა კი წავიდე ისევ“...

— „შენ გენაცვალოს ჩემი თავი, დილამდინ დარჩი და
მერე წადი!“ ეხვევოდა ანუშკი.—„ე ჩემო კარგო, დილთ ბევ-
რი სამუშაო მაქვს, უჩემოთ ვერ გააკეთებენ“... ტრაბახობდა
მიხაკა.

მამლებმა პირველად იყივლეს და მიხაკამ გამოსწია ცი-
ხისკენ.

ირაყრაჟა და ციხის კარი დააკაკუნეს. მეკარემ გაიხედა
და კარებთან მოკუზული დაღრჯილი სახით მიხაკა დაინახა.

„აი შენი... შეაგინა მეკარემ, გააღო ქიშკარი სტაცა კი-
სერში მიხაკას, შემოათრია ეზოში და ორიოდ მაგრა წაჰკრა.
დაინახეს ახლა სხვა ზედამხედველებმა მისცივდნენ მიხაკას და
ერთი თუ ორი ურტყეს და ურტყეს...“

„ოხ, ოხ, მინავათი ვარ, მინავათი ვარ“, მარტო ამას და
გაიძახოდა მიხაკა, მაგრამ სახეზე ჩვეულებრივი ღიმილი უთა-
მაშებდა. შეაგდეს მიხაკა „კამერაში“ და რა წამს ტუსალებმა
დაინახეს „ბრუტიანი“ დაჰკრეს კიეინა, მთელი ოვაცია გაუ-
მართეს. „გაამოს, გაამოს!“ გაიძახოდნენ ყოველ მხრიდან.—
„აკი ვთქვი, დაბრუნდება შინ ბრუტიანი და ბიჭი მზად და-
ხვდება მეთქი“ დაიძახა ვილამაც. მიხაკა იცინოდა, შემოავლო
თვალი ყველა ამხანაგებს. „აი თქვენი“... სიცილით შეაგინა
ერთობა ყველანი, მერე მიუბრუნდა ნიკოლას: „სულ შენი
ემშაკობა კია“, თითის ქნევით უთხრა მას.

სიცილი, ხარხარი, ხუმრობა დიდ ხანს არ სწყდებოდა მიხა-
კას კამერაში. მიხაკაც ძრიელ მხიარულად იყო. ხომ დარწმუნდა
თავის ანუშკის ერთგულობაში და პატიოსნებაში და ახლა იმას
არაფრისა ეშინოდა, არაფერი აწუხებდა. თუმცა რაც სასჯელი
გაატარა ამაოდ ჩაუვლის, გაქცევისთვის დაისჯება და მინიჭე-
ბული სასჯელი რვა თვე ხელახლად უნდა გაატაროს. ანუშკი
მისი ერთგულია, ანუშკის იგი უყვარს და სხვა დანარჩენი კი
მისთვის არ არსებობს...

ი. გედევანიშვილი.